17/11/2025

MES 7 25 0001619792

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 03.11.2025
სხდომის დაწყების დრო: 16:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 16:50
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - დებულება) 28^5-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **ირმა შიოშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
6. **ირაკლი კორძაია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნატრიაშვილი** - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი;
8. **ჯონი ბოჭორიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
9. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

1. **ლეილა მარუაშვილი** - სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. აკრეიდტაციის საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელი:
ნანა კავლელაშვილი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სოსო გოგილიძე** - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;
2. **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **თინათინ ღუდუშაური** - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
4. **გიორგი უშიკიშვილი** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ოთარ კაპანაძე** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **მალხაზ ერქვანიძე** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ 2025 წლის 27 ოქტომბერს გადადებული საკითხი).

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს მიერ გრძელდება 2025 წლის 27 ოქტომბერს ჩანიშნული საკითხის, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის განხილვა. აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე ვერ ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები. მან სიტყვა გადასცა საბჭოზე 17 ივნისის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ ექსპერტს, ლეილა მარუაშვილს.
ლეილა მარუაშვილმა წარადგინა თავისი თავი. იგი გახლავთ, კონსერვატორიის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და მუსიკის მკვლევარი.
მან აღნიშნა, რომ 2025 წლის ივნისის დასაწყისში დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით იყო მოწვეული ცენტრის მიერ განსახილველი პროგრამის დასკვნის შემუშავების თაობაზე. აღნიშნული დასკვნა განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. მისი ინფორმაციით, ინსტიტუციის ინიციატივით, საკითხი შემდგომში გახდა განსახილველი სააპელაციო საბჭოს მიერ.
მან განმარტა, რომ სხდომაზე მისი მონაწილეობა გულისხმობდა საკითხის ირგვლივ მოსაზრებების გაზიარებას. შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომლებიც განხილული იყო ივნისში, დღეს არ შეიცვლებოდა და აქედან გამომდინარე, მისი პოზიციაც უცვლელი დარჩა.
ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე:

1. პირველი ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, რომელსაც იგი არ ეთანხმებოდა.

2. მეორე ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, კერძოდ იმ ნაწილს, რომელიც გულისხმობდა კურსდამთავრებულების შესაძლებლობას, ჩამოეყალიბებინათ საშემსრულებლო კოლექტივი, რომელიც ასწავლიდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მისი შეფასებით, ეს მიზანი არ იყო მხარდაჭერილი შესაბამისი საგნებით და პროგრამის ფარგლებში მიუღწეველი ჩანდა.
3. მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ საგნებს: ორი მნიშვნელოვანი საგნის პროგრამის სტრუქტურაში ვერ მოიძია. გარდა ამისა, რამდენიმე საგანი მიიჩნია არაშესატყვისად იმ კრედიტების მიმართ, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა. მაგალითად, მან მოიყვანა „გალობის ისტორია და თეორია“ და „თეორია და სოლფეჯიო“.
4. მოდული „საგუნდო კლასი“ - განიხილა როგორც აუცილებელი კომპონენტი პროგრამისთვის, თუმცა ის არ იყო შეტანილი. მისი აზრით, ამ მოდულის გარეშე „ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლის“ მომზადება რთულად წარმოსადგენი გახლდათ.
5. აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასების დასკვნა და არ განხორციელდა ანალოგიურ პროგრამებთან შედარება.
6. რაც შეეხება სტანდარტს, რომელიც უკავშირდება ადამიანურ რესურსებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი პოზიცია უცვლელია. თუმცა, პროგრამის ორი ხელმძღვანელი საქმიანობას ეწევა საქართველოს უნივერსიტეტში პროფესორის სტატუსით.

მან ასევე აღნიშნა, რომ ეს იყო რეკომენდაციები, რომლებიც გააჟღერა პროგრამის განხილვისას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები მოწვეულ ექსპერტთან.

საბჭოს წევრებს ლეილა მარუაშვილთან დამატებითი კითხვა არ ჰქონდათ.

სიტყვა ითხოვეს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა.

სასწავლო-სამეცნიერო დარგში პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ამ პოზიციის გარდა, არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამთ იმის შესახებ, რატომ იყო ასეთი დასკვნა მიღებული და რა საფუძველი ჰქონდა საბჭოს, რომ აკრედიტაცია არ მიენიჭებინა.

მან კვლავ დასვა შეკითხვები: მიმართა ლეილა მარუაშვილს, მისი შვიდი რეკომენდაციიდან რომელი მოითხოვდა ერთიდან ორ წელზე მეტ დროს გამოსწორებისთვის, რადგან, თუ ექსპერტებისა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები აღმოფხვრადია ორ წლამდე, მაშინ პროგრამას მაინც ეძლევა პირობითი აკრედიტაცია.

მეორე შეკითხვის შესაბამისად, ლეილა მარუაშვილის ანგარიშში არსად იყო მითითებული, რომ პროგრამა არ იმსახურებდა აკრედიტაციას, ამიტომ სთხოვდა დაეფიქსირებინა, მისი აზრით, არსებობდა თუ არა პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესაძლებლობა.

ლეილა მარუაშვილმა უპასუხა, რომ ის არ იყო საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფის კომისიის წევრი, არამედ ექსპერტი, რომლის მოვალეობაც იყო მოსაზრებების დაფიქსირება და რეკომენდაციების გაცემის შესაძლებლობა. ასევე აღნიშნა, რომ არ აპირებდა პოლემიკაში შესვლას, რადგან ეს არ იყო საბჭოს სხდომის პრეროგატივა. განმარტა, რომ მისი პოზიცია არ შეიცვლებოდა და მას არ ევალებოდა დაეფიქსირებინა, უნდა მინიჭებოდა თუ არა პროგრამას აკრედიტაცია.

არჩილ ჯანგირაშვილმა მიმართა ლეილა მარუაშვილს და აღნიშნა, რომ მისი ფუნქცია იყო მხოლოდ შეფასების გაკეთება, რაც შვიდ პუნქტში აისახა. ამასთან, საბჭოს წევრებმა დასვეს კითხვა ექსპერტების მისამართით.

სოსო გოგილიძემ განმარტა, რომ შეფასება არ გულისხმობდა გადაწყვეტილების მიღებას, არამედ მხოლოდ კრიტიკას. დაინტერესდა შემდეგ საკითხთან მიმართებით - იმ რეკომენდაციებით, რაც მოწვეულმა ექსპერტმა შეიმუშავა, სჭირდებოდა თუ არა ორ წელზე მეტი პროგრამას ხარვეზების გამოსასწორებლად.

ლეილა მარუაშვილმა დააზუსტა, რომ მეშვიდე პუნქტის შესრულებას ცოტა დრო სჭირდებოდა, ხოლო მეექვსე პუნქტზე განმარტა, რომ დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, მზად იყო, აღნიშნული საკითხი მოეხსნა.
არჩილ ჯანგირაშვილი დაინტერესდა მეხუთე და მეოთხე პუნქტებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაეფიქსირებინათ მხოლოდ მათი პოზიცია და არა კითხვები.
არჩილ ჯანგირაშვილმა კვლავ მოითხოვა პასუხი, დანარჩენ პუნქტებს ჰქონდათ თუ არა ორ წელზე ადრე გამოსწორების შესაძლებლობა.
არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტს დოკუმენტები ვერ მიეწოდებოდა, რადგან პროგრამამ აკრედიტაცია ვერ მიიღო. საბჭოს წევრებს ასევე აუხსნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შესაძლებლობა დამატებითი დოკუმენტების მიწოდებისთვის, და დასვა კითხვა, რატომ არ იყო მოწვეული მეორე დამატებითი ექსპერტი, რომელიც შეძლებდა დაედასტურებინა ან უარყო ზემოხსენებული რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ მარტივ კითხვაზე - გამოსწორებადია თუ არა ორ წელიწადში - თავად ექსპერტმა დაადასტურა, რომ მინიმუმ ორი პუნქტი მცირე დროს მოითხოვდა. ასევე დასვა კითხვა მეექვსე პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც აკადემიურ პერსონალს ეხებოდა, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულზე აღარ ჰქონდა პრეტენზია. დანარჩენი პუნქტები არ წარმოადგენდა საფუძველს, რომ პროგრამას აკრედიტაცია არ მიეღო. საგნები, რომლებზეც ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება, დაწესებულებას უკვე ჰქონდა წარმოდგენილი, რაც მეორე დამატებითმა ექსპერტმაც დაადასტურა. საგნებთან დაკავშირებით არსებობდა ორი მიდგომა: 1. ცალკე საგნად გამოტანა კურიკულუმში; 2. ინტეგრირებული ფორმით რამდენიმე საგანში კომპეტენციის გადანაწილება. დაწესებულებას არჩეული ჰქონდა მეორე მიდგომა, რაც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, როგორც უფრო სწორი და მისაღები პრაქტიკა, რასაც მეორე დამატებითმა ექსპერტმაც უმაღლესი შეფასება მისცა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ოთარ კაპანაძემ დააფიქსირა თავისი პროფესიული პოზიცია და განაცხადა, რომ ლაკონურად განიხილავდა მოწვეული ექსპერტის მიერ დასახელებულ ხარვეზებს. დაიწყო პირველი ხარვეზით - დაშვების წინაპირობა. იგი ვერ დაეთანხმებოდა ლეილა მარუაშვილის მოსაზრებას და მით უფრო არ იყო მართებული დასკვნა, რომ დაშვების წინაპირობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის შედეგებზე გასვლას.
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ოთარ კაპანაძემ ასევე განმარტა, რომ პირველ პუნქტში არასწორად იყო მითითებული, თითქოს კურიკულუმში არ მოიძებნებოდა სასწავლო კურსი „ქართული ხალხური სიმღერის გაშიფვრა“. სინამდვილეში, მინიმუმ 10 სილაბუსში აღნიშნული კომპონენტი შეტანილია, უბრალოდ სხვა სახელწოდებით - „ნოტირება“. ასევე აღნიშნა, რომ არამიღწევადია პროგრამის მიზნებთან საშემსრულებლო კოლექტივის ჩამოყალიბება, რადგან ეს არის დაწესებულების მეორეული მიზანი და არა შედეგებზე გასვლის ძირითადი ამოსავალი წერტილი. გარდა ამისა, კანონმდებლობაში არ არსებობს რეგულაცია, რომელიც უკრძალავს პირს, თვითმოქმედი კოლექტივის ჩამოყალიბებას. მაგალითად მოიყვანა ანსამბლები „მზეთამზე“, „ანჩისხატი“ და „ადილე“, რომელთა ხელმძღვანელებს არ აქვთ მენეჯმენტის კურსები გავლილი. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ ითხოვდა ლეილა მარუაშვილი პროგრამაში „ტრადიციული მუსიკის დირიჟორობის პრაქტიკუმის“ შეტანას, რადგან პროგრამა, პირიქით, დირიჟორობის საწინააღმდეგოა. მისი აზრით, ეს საბჭოთა იდეოლოგიის ნარჩენია.
ოთარ კაპანაძემ ასევე ყურადღება გაამახვილე მეორე პუნქტზე, ლეილა მარუაშვილის მოსაზრებაზე, რომელიც ეხებოდა საგნების დამატებას - „ხალხური მუსიკის სწავლების მეთოდიკა“, „პედაგოგიური პრაქტიკა“, „ტრადიციული ხელოვნების დიდაქტიკა“ - მან განმარტა, რომ ეს საგნები მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვისაა და არა მოცემული პროგრამისთვის. ასევე დასვა კითხვა, საერთოდ არსებობს თუ არა საგანი „ტრადიციული ხელოვნების დიდაქტიკა“, რადგან ტრადიციული ხელოვნება მოიცავს მრავალ სფეროს — ქორეოგრაფიას, მუსიკას, არქიტექტურას და სხვ. ოთარ კაპანაძემ „გალობის

ისტორიისა და თეორიის“ ერთ სემესტრში სწავლების საკმარისობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა პრაქტიკულია და ორსემესტრიანი სწავლების აუცილებლობა არ არსებობს. ასევე აღნიშნა, რომ „მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო“ კომპლექსურად გაერთიანებულია, რაც ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა. მან ისაუბრა იმაზე, რომ მეოთხე სილაბუსის ფოლდერში არ იყო მითითებული „დაოსტატება ტრადიციულ გარემოში“ და „საკვალიფიკაციო ნაშრომის“ სილაბუსი, თუმცა განმარტა, რომ ეს ინფორმაცია გაფანტულად იყო წარმოდგენილი, რაც მეორე ექსპერტმაც დაადასტურა.
ოთარ კაპანაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოადგენს „ხალხური დირიჟორობის“ ალტერნატივას, რომელიც მოძველებული კლასის ჩანაცვლებას ისახავს მიზნად. ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის სამივე ხელმძღვანელი აკადემიური პერსონალია და ქართული ტრადიციული მუსიკა უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი. მისი აზრით, აღნიშნული დასკვნა ხელს უშლის მომავალი თაობის აღზრდას ამ მიმართულებით.
არჩილ ჯანგირაშვილმა დასძინა, რომ ლეილა მარუაშვილის მხრიდან რეკომენდაციების გაცემა მოხდა ფორმის დარღვევით, რაც მოითხოვდა კონკრეტული ფორმის დაცვას. გარდა ამისა, რეკომენდაციებში დაშვებული იყო ფაქტობრივი შეცდომები. მაგალითად, მეექვსე პუნქტში არასწორად იყო მითითებული, რომ გიორგი უშიკიშვილის დიპლომი არ იყო გათანაბრებული მაგისტრის ხარისხთან, მაშინ როცა კანონმდებლობის თანახმად ის გათანაბრებულია. ასევე არასწორი იყო დასკვნა აკადემიური პერსონალის რაოდენობის შესახებ.
ლეილა მარუაშვილმა დასვა კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ პროგრამაზე ჩარიცხული ყოფილიყო ისეთი პირი, რომელსაც არ შეუძლია ნოტების ცნობა. ასევე, როგორ შეიძლებოდა სტუდენტს, რომელიც პროგრამაზე შემოდის და სამ წელიწადში იღებს ბაკალავრის ხარისხს, სოლფეჯიო გაევლო მხოლოდ ერთ წელიწადში, მაშინ როცა დაწესებულების მიზნებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება კომპეტენცია, ასწავლოს.
არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტს კვლავ ეშლება კვალიფიკაციის საკითხი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, დაწესებულების კვალიფიკაცია არის საშემსრულებლო, რაც სრულიად განსხვავდება სადირიჟორო კვალიფიკაციისგან. შესაბამისად, დაწესებულება ორიენტირებულია საშემსრულებლო კომპეტენციაზე და არ სცდება ჩარჩოს მოთხოვნებს.
არჩილ ჯანგირაშვილმა მიმართა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს და სთხოვა, გაეკეთებინა განმარტება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, ვინაიდან, მისი მოსაზრებით ლეილა მარუაშვილს ეს საკითხი არასწორად ესმოდა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი შეფასებები მოიცავდა ფაქტობრივ უზუსტობებს და თავადაც არ მიუთითებია, რომ პროგრამა არ იმსახურებდა აკრედიტაციას.
საბჭოს სხდომაზე გამართული პოლემიკის საპასუხოდ, საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ თუ დამატებითი კითხვები აღარ არსებობდა, აკადემიური სივრცის ფარგლების შენარჩუნებისთვის, სხდომაზე გამოცხადდებოდა სათათბირო შესვენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განაცხადა, რომ იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე, მოისმინეს დაწესებულებისა და ექსპერტების პოზიცია და ასევე ჰქონდათ დისკუსია. გადაწყვიტეს, რომ პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება გაიზიარონ და დატოვონ ძალაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უარის თქმის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

1. "შპს საქართველოს უნივერსიტეტის" საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის პირველი პუნქტის და 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭო იზიარებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებას შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უარის თქმის შესახებ.

საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 03 ნოემბრის 16:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ეროვნული ცენტრი
შეფასებისა და
ექსპერტიზისა